140 პიონერის ცხოვრება

(ეკლესიასტე 11:6)

1. ყოველთვის ადრევე, მზის გამოჩენამდე,
ძილს ვართმევთ თავს
და ვიწყებთ ჩვენს დღეს, ლოცვით მივმართავთ
ღმერთს.
ვუღიმით ყველას, ვისაც ჩვენ ვხვდებით გზაზე,
ზოგი გვისმენს
და ზოგიც კი უსიტყვოდ აგვიქცევს გვერდს.

(*მისამღერი*)
ჩვენ ასეთ გზას ვირჩევთ,
იეჰოვასთვის დღეს.
რასაც დაგვავალებს, ვასრულებთ.
დარსა თუ ავდარში,
ჩვენ მაინც ვქადაგებთ.
ვცდილობთ სიყვარული ვაჩვენოთ
ძვირფას ღმერთს.

2. დღის ბოლოს, როდესაც მზე ჩაესვენება,
დაღლილნი და
ბედნიერნი მხურვალედ ვლოცულობთ ჩვენ.
გვიყვარს ეს ცხოვრება, ბოლომდე გაცემა.
ვმადლობთ იეჰოვას,
რომ ჩვენ დღეს კურთხევას არ გვაკლებს.

(*მისამღერი*)

© 2015 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania

(იხილეთ აგრეთვე იეს. 24:15; ფსალმ. 92:2; რომ. 14:8)